

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის  
ოქმი N30

24 .01.2025

სხდომის ჩატარების

ადგილი:

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა.

რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი მამუკა რიჟამაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თეიმურაზ ნადიარძე, მაგდა კოსტავა, დიმიტრი მხეიძე, მანანა ჩიხლაძე, მერაბ ჭოხონელიძე, ნონა ქანდარია, მიხეილ გიორგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე ბატონი მამუკა ხიმშიაშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ლიკა ჩახუნაშვილი და ანა ერემეიშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა რიჟამაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. 2025 წლის ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ.

2. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა ბატონმა ვარლამ გობეჯიშვილმა.

ვარლამ გობეჯიშვილი: მოგესალმებით, როგორც იცით ცვლილებები შეეხება რამდენიმე პროგრამას, როგორც თანხობრივი ესევე ტექსტობრივი, 2025 წლის სოციალურ პროგრამათა ბიუჯეტი შეადგენს 8 511 000, რომელიც გასულ წელს დამტკიცებული ბიუჯეტთან შედარებით მილიონ ლარზე მეტით არის გაზრდილი. გასული წლის სოციალურ საკითხთა ბიუჯეტი შეადგენდა 7 461 000 ლარს. ხუთი ტექსტობრივი ცვლილება მინდა წარმოგიდგინოთ, რომლებიც კიდევ უკეთესად წარმოაჩენს ჩვენს მომსახურებას, კიდევ უფრო კმაყოფილი გვეყოლება მოსახლეობა. რადგან კიდევ უფრო მეტი ბენეფიციარი ჩაერთვება, ჩამოვთვლი ხუთივე ქვეპროგრამას.

1. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია
2. საქართველოს „ბავშვთა ეს-ო-ეს სოფლის“ დღის ცენტრის ბენეფიციართა დახმარება
3. სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა
4. შშმ პირთა საზოგადოებაზე ინტეგრაციის ქვეპროგრამა
5. პერსონალური ასისტენტის პროგრამა

პერსონალური ასისტენტის ქვე პროგრამაზე მინდა ავღნიშნო, რომ სახელმწიფოსგან დელეგირებული ქვეპროგრამაა, დანერგილია და დაიწყებს მოქმედებას,

მამუკა ხიმშიაშვილი: ზოგიერთმა რაიონმა ვერ მოახერხა პროგრამის დანერგვა სხვადასხვა პრობლემის გამო, ამიტომ შესაბამისად ვერ განხორციელდება.

ვარლამ გობეჯიშვილი: ეს პროგრამაც, რომ დაიწყება გაგვიხდება 30 ქვეპროგრამა, დღის მდგომარეობით გვაქვს 29 ქვეპროგრამა. მოვემსახურებით 15 ბენეფიციარს, საიდანაც ათი იქნება რეგულარული საჭიროების მქონე და ხუთი სპეციალური საჭიროების მქონე შშმ პირი.

დიმიტრი მხეიძე: როგორ ვარჩევთ ბენეფიციარებს?

ვარლამ გობეჯიშვილი: შერჩევა ხდება სპეციალური კითხვარის შევსების შემდეგ.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვე პროგრამაში დღის ცენტრებს თანხას ვუხდით წელიწადში 11 თვისას, რადგან საშუალება ჰქონოდათ წელიწადში ორჯერ დაესვენათ, ზაფხულში და ზამთარში, ეხლა თანხას გადავიხდით თერთმეტნახევრისას, 2 კვირის თანხას კიდევ ავუნაზღაურებთ.

ერთი სეანსი გაიზარდა 1 ლარით და 50 თეთრით. ვაუჩერ გახდა 450 ლარიანი. ამ პროგრამის სრული ბიუჯეტი 2 450 000 ლარი.

საქართველოს „ბავშვთა ეს-ო-ეს სოფლის“ დღის ცენტრის ბენეფიციართა დახმარებაზე მოგახსენებთ, მიმდინარე წლის ბიუჯეტი 7 000 ლარით გავზარდეთ, შეადგინა ბიუჯეტი 37 000 ლარმა, ტექსტობრივად შევიატნეთ ცვლილება, რომ კომუნალური ხარჯების დაფარვაში დავეხმარებით ნაწილობრივ.

ასევე შშმ პირთა საზოგადოებაზე ინტეგრაციის ქვეპროგრამა გვექონდა შშმ პირთა საერთაშორისო დღის 3 დეკემბრის აღნიშვნა, სამ წლიანმა პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ კონკრეტულად შშმ პირები ითხოვენ იყოს სპორტული აქტივობები, მოეწყოს კონცერტი და საღამო დასრულდეს ფურშეტით და თემატურად კულტურას ეხება და გადავიდა კულტურის პროგრამებში.

სამედიცინო დახმარების ქვე პროგრამაში, ტექსტობრივ ნაწილში შეგვაქვს ერთი კორექტირება, ონკოპაციენტის ისეთ პროცედურებსაც ვაფინანსებდით რომლებსაც სახელმწიფო არ აფინანსებდა, ჩვენ პრიორიტეტის სახით დავტოვეთ ფარისებრი ჯირყვლის ავთვისებიანის შემთხვევაში რადიაქტიული იოდით თერაპიის დაფინანსება.

კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი რედაქციით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი წარმოადგინა ბატონმა მამუკა რიყამაძემ.

მინდა წარმოგიდგინოთ 2025 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმა-გრაფიკი.

I კვარტალი

N	განსახილველი საკითხები	პროექტის წარმოდგენაზე პასუხისმგებელი	სხდომის ჩატარების დრო
1	ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის 2026 წლის სამუშაო-გეგმა გრაფიკის განხილვისა და დამტკიცების შესახებ.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.რიყამაძე	იანვარი
2	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ანგარიში ურეკში მაგნიტური ქვით მოსარგებლე ბენეფიციარების შესახებ.	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი	იანვარი
3	ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის მაღლიერების სახლის ხელმძღვანელის თამთა ბაკურაძის ანგარიშის მოსმენა.	ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის მაღლიერების სახლის ხელმძღვანელის თამთა ბაკურაძის ანგარიშის მოსმენა.	თებერვალი
4	შეხვედრა განვითარების ცენტრით მოსარგებლე ბენეფიციარების მშობლებთან	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მამუკა რიყამაძე	მარტი

5	ანგარიში სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების რაოდენობის და მათი შესახლების შესახებ.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მამუკა რიჟამაძე.	მარტი
6	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის 3 თვის ანგარიში ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი	მარტი

II კვარტალი

1	ანგარიშის მოსმენა 18 წლამდე პაციენტების ქირურგიული ოფთალმოლოგიის ქვე პროგრამის შესახებ	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი	აპრილი
2	სოციალური მომსახურეობის სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრის მიერ სოციალური ქულების მინიჭების შესახებ განხილვა	სოციალური მომსახურეობის სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრის უფროსი.	აპრილი
3	ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველი კობა ფხაკაძის ანგარიში სპორტულ სკოლებში არსებული სამედიცინო ოთახების მდგომარეობის, სამედიცინო ინვენტარის და შეძენილი მედიკამენტების შესახებ.	ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა მმართველი კობა ფხაკაძე	მაისი
4	აუტისტური სპექტრის მქონე 18 წლამდე ბენეფიციართა ქვე პროგრამის შესახებ.	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი	მაისი

5	ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის დავით წითაიშვილის ანგარიში სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული ბავშვთა ოთახების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ ანგარიში.	ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი დავით წითაიშვილი	ივნისი
6	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის 6 თვის ანგარიში ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი	ივნისი

### III კვარტალი

1	შპს ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკის დირექტორის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში და სამომავლო გეგმების განხილვა.	შპს ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკის დირექტორი ნინო ჩალაძე	ივლისი
2	განვითარების ცენტრებთან შეხვედრა, გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მოსმენა	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მამუკა რიყამაძე	ივლისი
3	ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა შინ მოვლის საპილოტე ქვეპროგრამის ანგარიში	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი	აგვისტო
4	ონკოპაციენტების არტ თერაპია ქვე პროგრამის შესახებ.	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის	აგვისტო

		სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი	
5	ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომის პროგრამის და ჰერცეპტინის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი	სექტემბერი
6	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის 9 თვის ანგარიში ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების შესახებ.	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი	სექტემბერი

IV კვარტალი

1	ა(ა)იპ ქ. ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის დირექტორის ბატონ გია ჩიჯავაძის ანგარიში სალონებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ	ა(ა)იპ ქ. ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის დირექტორი ქალბატონი მ. ნადარეიშვილი.	ოქტომბერი
2	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ვარლამ გობეჯიშვილის ანგარიში 2025 წელს განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების შესახებ	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი	ოქტომბერი
3	2026 წლის ბიუჯეტის პროექტში შესატანი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხილვა.	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი	ნოემბერი

4	საკრებულოს წევრისა და კომისიის თავმჯდომარის 2025 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე მოსახლეობასთან წარსადგენი ანგარიშის განხილვის შესახებ.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მამუკა რიყამაძე	ნომბერი
5	2026 წლის ბიუჯეტით გასათვალისწინებელი ახალი პროგრამების განხილვა.	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი	დეკემბერი
6	2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების შესახებ ანგარიშის მოსმენა	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი	დეკემბერი

კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ და მოიწონეს წარმოდგენილი რედაქციით.

ამით, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ მუშაობა დაასრულა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე

მამუკა რიყამაძე

